

რედაქცია

მელიქონის ქუჩაზე, პრეტე ჩაიგეშტოის სას-  
ლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქონის სტამბაში.  
ძალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ-Тифлисъ. ВЪ  
редакцію газеты „Дროება“.

გაზეთის ფასი

წელიწადში—8 მან., ნახევარ წელიწადში—  
4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.  
სალკე ნაშენი—ერთი შაური.

განცხადება


მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა  
ცუხულს ენებზე.

განცხადების ფასი

ღიძი ასრებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მოაგრულით,  
სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ.  
და პეტიტით—4 კაპ.

მთ სპირიტუალ მოთხოვს, რედაქცია გასწორებს  
და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.  
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

გამოდის კვირამოდით, ოთხშაბათობით და პარასკეობით



საქართველო

ხმები კავკასიის  
მაკედონათ აღმშენებელად

ზოგიერთს რუსის გაზეთებში და  
მათ შორის ყველაზე უფრო ხშირად  
„მოსკოვის შუყებში“, რომელიც  
ამ გვარ შემთხვევაში დადი ხანია  
განთქმულია, ამ უკანასკნელ დროს  
თითქმის განუწყვეტლივ იბეჭდება  
სხვა და სხვა უსაფუძვლო კორრე-  
სპონდენციები და ცნობანი ქავკასი-  
ის მთიულეთ აღმშენებლისა და აქაურ  
მაჰმადიურ ფანატიზმის გაერცვლების  
თაობაზე.

ამას წინათ № 76 გამოთქვი ჩვენ  
ჩვენი ჰაზრი ამის შესახებ. ახლა კი  
მოგვყავს ხსენებული გაზეთებიდან  
ზოგიერთი ადგილები იმ კორრესპონ-  
დენციებიდან, რომელნიც ამ საგანს  
შეეხებინან:

„უფ. ხლიუძინსკი იწერება „მდეს-  
სის მოამბეში“:

„9 აგვისტოს პიატიგორსკში ვი-  
ყავი და ამ დროს იქ გაერცვლებუ-  
ლი იყო ხმა, რომ მამალეთიდან  
გამოგზავნილი მოლლები დაიარებიან  
ქავკასიის მთების დასავლეთ აულებ-  
ში და ჰქადაგებნო. ამბობენ, რომ  
ამ მოლლებს ისეთივე „მწვანე დრო-  
შა“ დაქეთ აქ, როგორც ამით თა-  
ნამემამულეებს ბოლგარიაში დაქონ-  
დათ იქაური მაჰმადიანების წასაქე-  
ბელად და ქრისტიანთ ამხსაჟელათ.  
ხალხი იმნაირად აღელვებულა, რომ  
შესაძლებელია, ეს ძლიერ დაყარე-  
ბული მშვიდობიანობა დღე-დღეზე  
დაირღვეს.

საქართველოსაკენ რომ გამოვე-  
გზავრე, ქავკასიის დიდს გზზე, მთე-  
რში, რომდენიმე მთიული ვნახე, რომ-  
მელნიც ცხენის ჯოგს მორაგავდნენ  
და რომელთაც მითხრეს, რომ თითო  
აულიდან სამ-სამი მარჯვე და ჰქვი-  
ანი კაცები ამოგვარჩიას და მსძალე-  
თში მივიღიართო.—რასთვის მიდი-  
ხართ-მეთქი, რომ ვკითხე, იმათ პა-  
სუხი არ მითხრეს; მაგრამ თქვენ მი-  
ხედებით—რა განზრახვითაც უნდა  
მიდიოდნენ ისინი მსძალეთში...“

მეორე რუსულს გაზეთში „ახალს  
დროებაში“, 15 აგვისტოს, ოფილი-  
სიდან შემდეგ ამბავს იწერებიან:

ჩვენს სამზღვარზე, ახალქალაქის  
მახლობლად, მსძალოს კავალერიის  
ოც-ოც-და-ხუთი კაცი ხშირად გა-  
დმოდიან ჩვენ მოსამზღვრე სოფლე-  
ბში და სხვა-და-სხვა უწყსოებას ახ-  
დენენ. ამას წინათ ესენი დაეცნენ  
მალაკანის სოფელს მჭრემოვკას, 800  
თავი საქონელი და ცხენი მოიტაცეს  
და გარყვეს. მარაბულახიდან გრენა-  
დერის დივიზია გაგზავნეს აღექსან-  
დროპოლში.

„მოსკოვის შუყებში“, ამ ცნო-  
ბის მოყვანის შემდეგ, ამბობს:

„მარტო ერთი გრენადერის დივი-

ზია გაგზავნეს, მეტი არაფერი? მცხო-  
ვრებლების ზიანი ვის უღა აზღვე-  
ვინონ? ბანა სასტიკად არ უნდა და-  
ისაჯონ ის პირნი, რომელნიც სამ-  
ზღვრებზე მოსვენებას არ გვაძლევენ?  
ბანა რუსეთის სახელი და ღირსება  
დაკმაყოფილებული არ უნდა იქნეს?“

დღიური

მთიციალურს გაზეთს „ქავკასში“  
დაბეჭდილია სენათიდან მიღებული  
კორრესპონდენცია, რომლიდანაც ზო-  
გიერთი ალაგები მოგვყავს:

„სენათში გაგზავნილია სულ 6  
როტა, 300 ქვევითა ჯარი, 2 მთის  
ზარბაზანი და 3 კამანდა. ჯარის  
უფროსად დანიშნულია ღენ.-მა-  
იორი სიტოვიჩი...“

„სოფელს ძალდში, რომელშიაც  
უფ. ბრინვესკი და სხვები მოჰქლეს,  
სულ 30 მოსახლე კაცია; აქ ათი კო-  
შკი დგას... ქოშკები ძალიან მაგრად  
არიან ნაშენები, კედელს ორი არში-  
ნი სისქე აქვს ასე, რომ თოფისა და  
პატარა ზარბაზნის ტყვია იმათ ვერას  
დააკლებს.“

„ძალდეს კოშკებში 70 კაცამდინ  
არიან შეფარებულნი, რომელნიც  
დამორჩილებას არ აპირებენ; ჩვენ  
რამდენჯერმე გაუგზავნეთ მოციქუ-  
ლები, მაგრამ ყოველთვის უარი შე-  
მოგვიფიქვალეს; ისევე აქვე მოგვკედეთ,  
ის გვირჩევიანო.“

„ღამ-ღამობით გაუწყნარებელი  
რალაც მოძრაობა, ყვირილი და ბუ-  
კის ხმა ისმის სოფლიდან. ეს ბუკი  
ჩვენს გარნიტს წაართვის; მოკლუ-  
ლები თავის სოფელში დამარხეს, იმათი  
მურდირები კი თვით ჩაუცვამთ.“

„ჩვენი ჯარი ერთს ვერსზეა ძალ-  
დდამ დაბანაკებული. ხალხს გაუ-  
მაგრებია კოშკები; სახურავზე დიდი  
ქვები და ხეები დაუყრიათ.“

„ღღეს კიდევ ვუსდით და ხეალ,  
თუ არ დამორჩილდნენ, ზარბაზნე-  
ბის სროლა უნდა დაეწყოს.“ (ეს  
წიგნი 20 აგვისტოს არის ძალდდამ  
გამოგზავნილი).

\*\*\*

ზაქათალის მაზრის გამგებელის უ.  
პ. ქამსარაკანისაგან მივიღეთ ცნობა,  
რომ ჩვენგან გაგზავნილი ფულები,  
იქაურ გადამწვართ სასარგებლოთ,  
იმას მიუღია. ამასთანავე უფ. ქამსა-  
რაკანი გეთხოვს, რომ შემდეგში ამ  
ადრესით გამოგზავნეთ, რაც გექნე-  
ბათ გამოგზავნიო: ВЪ г. Закаталъ,  
ВЪ Окружное управление.

\*\*\*

ჩვენ შევიტყუეთ, რომ ის ეტრათი,  
რომელსედაც ჩვენი სენათი კორ-  
რესპონდენტი უფ. ლ. ლაღუანი გწე-  
რდა ამას წინათ, ამ ქამად პეტერ-

ბურლის სამეცნიერო აკადემიაში  
არისო. სენათის აღრინდელ პრის-  
ტავს მიცვალეხულ ი. შ. მამაცოვს  
უფ. ლ. ზ. ბაქრადისთვის გადაუცია,  
რომელსაც ის გაურკვევია — იმისი  
გარკვევა აკადემიაში იბეჭდება და  
თვით ეტრათი აკადემიის თხოვნით  
ხსენებულ აკადემიაში გაუგზავნია  
მაშა სადამე ეტრათი დაკარგული არ  
არის. უფ. ლ. ზ. ბაქრადემ დაგვიბრ-  
და ჩვენ, რომ შენიშნვას გამოგვიგ-  
ზავნის ამ ეტრათის შესახებ.

\*\*\*

ხაშურიდან გვწერენ, რომ 29 აგ-  
ვისტოს იქ გაუმართავთ ქართული  
წარმოდგენა („შპარი ხუთის ცოლი-  
სა“—ანტონოვისა) ხაშურის გადამ-  
წვარ მცხოვრებთა სასარგებლოდ. წა-  
რომოდგენიდან სულ 116 მანეთი შე-  
მოსულა, მაგრამ აქედამ 70 მანეთა-  
მდინ წარმოდგენის გამართვისათვის  
დახარჯულა ასე, რომ ხსენებულ  
გაქარებულების სასარგებლოთ ხუთ  
თუშნამდინ მოუგროვებიათ.

„დროების“ კორრესპონდენცია

ქისლავოდსკი, 26 აგვისტოს. ღაბა  
ქისლავოდსკი მდებარობს პიატი-  
გორსკიდან ოც-და-თექვსმეტს ვერს-  
ზედ. სიმგრგელივ შემოზღულდულია  
უტყეო ტიტლიკანა გორებით (ილა-  
ლით). მხოლოდ თვითლეღში არის  
დაცემული დიდროანი ხეების ჭალა,  
რომელსაც პარკს ეძახიან. ამ პარკ-  
ში განსვენებული მორონცოვისაგან  
და მის მეუღლისაგან ორი ძირი  
წაბლის ხეა დარგული და ორივე  
ნახარბია, მაგრამ ჩრდილის გამო,  
რომლებსაც ზედ დიდი ხეების ტო-  
ტები აქვს გადაფარული, დანაგლუ-  
ლან. შუა-გულ პარკში მომდინარე-  
ობს ხევი, რომელშიაც ჰბუდობენ  
კალმახნი და სხვა გვარნი წვრილნი  
თევზნი. პარკის თავში გაშენებულია  
ბალი სხვა და სხვა ხეხილით საესე,  
რომელსაც „სახელმწიფო ბაღს“ ეძა-  
ხიან. ხილი იცის მომეტებულათ  
მშვენიერი, სანახავათ თვალთათვის  
სასიამოვნო, მაგრამ გემოვნებით-კი  
ძალიან შორს ჩამორჩება ჩვენებურ  
ხილს.

თვით მქავე წყალი, რომელსაც  
კაბარდოულათ ეწოდება „ნარ-ზან“  
იმყოფება პარკის ბოლოს. „ნარ-ზანი“  
ამოსდულს დედამიწიდან და რაც  
ჰაერში მეტათა ცხელა, მით უფრო  
ცივათ ამოჩუხჩუხებს და სასიამოვნო  
სასმელია. სიღრმე აქვს ორ-საჟენ-  
ნახევარი და სიგრძე-სიგანე თანასწო-  
რი, ისიც ერთი საჟენი.  
ზედ „ნარ-ზანზედ“ დაშენებულია  
ნათალი ქვის ძველებური ინგლისის

არხიტექტურაზედ ოდას მაგვარი  
გრძელი შენობა. შენობა არის გა-  
კეთებული განსვენებული მორონ-  
ცოვისაგან.

ეს ადგილი ძველადგან კაბარდო-  
ელებს ეკუთვნოდათ და ეხლა-კი  
სულ გადამდგარი სალდათებით და  
ირაო ხალხით არის გაშენებული ეს  
მშვენიერი ბუნებით მდიდარი მდე-  
ბიარობა.

ქისლავოდსკის ჰავა აქეთ მხარეს  
ყველაზედ სალია, მაგრამ დაჟინებუ-  
ლი წვიმების გამო, როდესაც თავი-  
სებურათ დაიწყებს ხოლმე, ცოტა  
არა რომ სინოტიცა ჰკიცოდნია. მო-  
მეტებულ ნაწილათ. ქისლავოდსკის  
გარეშეშე მდებარობა არის ძალიან  
კარგი ძროხის, ცხენის და ცხერის  
სამოვრისათვის, ამასთანავე სათიბა-  
თაც.

ქისლავოდსკის კურსი ყველაზედ  
ნაბოლოვარაა და ყველაზედ უპირა-  
ტესი, ასე რომ, როდესაც პიატი-  
გორსკში ანუ სხვაგან გაათავებენ  
წამლობას, შემდეგ უტყველად აქ  
გამოგზავნიან ექიმები თავიანთ პა-  
ციენტებს. როგორც დიდ-მარხეში  
აკრძალულია სამლოთს კანონის ძა-  
ლით სხორცეთის ჰამა, ვგრეთვე  
პიატიგორსკში, მსენტუქში და შე-  
ლეზნაევოდსკში მყოფთ ავითმყოფებს  
უკრძალავენ ექიმები ზოგიერთ სას-  
მელ-საჰმელს და სხე... ხოლო აქ  
გადმოვლით-კი ნება ეძლევათ ყვე-  
ლაფრისა,—უსხნილდებათ. ამიტომაც  
ყველაზედ მზიარულათ აქაური კურ-  
სი გათავდება ხოლმე; სმით, ჰამით,  
არშიყოფით, შემთხვევებით და სხე...  
მოგახსენებთ ერთს მაგალითს:

მრთს ყმაწვილ უკოლო კაცს წი-  
გნი მიეწერა, სიყვარულის შინაარსით  
საესე, ერთი ნაცნობ ქმრიან ქალი-  
სათვის. თურმე, ნუ ბრძანებთ, ეს  
წიგნი ჩაუვარდება იმ ქალის ქმარს  
ხელში, არ ვიცი შემთხვევით, თუ  
ცოლს უჩვენებია ვითომც ნიშნად  
ერთგულებისა. შპარი ამდგარა და  
ლანძღვისა და მუქარების წიგნი მი-  
უწერია იმ უკოლო კაცისათვის...  
ამ ყმაწვილს კაცს თავის მხრით პა-  
სუხად გაუგზავნია ცარიელი დაუწყე-  
რავი თვითი ფოჩის ქალაღი და  
ბუშბული კონვერტში. ეს იმის ნიშ-  
ნად, როგორც ამბობენ, რომ „ისე  
ცარიელი ხარ როგორც ეს ქალაღ-  
ღი, სე გათეთრებულხარ როგორც  
ეს ქალაღი და ისე გამსუბუქებენ  
როგორც ეს ბუშბულიო!...“

ბ. ბრემელი

# უცხო ქვეყნები

სახსრად, 25 აგვისტოს. ამ უკანადად ხალხი აქ ძალიან შეწუხებულია და დამფთხარი: გვალვამ სრულიად მოსპობა პურის სახსენებელი, ბალახი სრულიად მოსწყვა. პირუტყვი დამწეულია და საზამთროთ ბზე არ არის; ჯვრჯვრობით როგორც არის იკვებება ფოთლით, ნეკერით და ზამთარში ამოწყვეტას მოელიან დამწეული გამხდარი საქონლისას. სიმინდი კარგა ხნდა; მაგრამ ისე დაიწვა, რომ მესამედი მოსავალიც აღარ არის რასაც მოველოდით. შურძენი სიცხისაგან ისე ძალიან დამწიფდა, რომ ამ მარობის თვეში რთველი სანახევროთ გათავდება.

შეუბრალებელი სიკვდილი მარჯვედ მუშაობს ჩვენში თავის ბასრი ცელით, — მიზეზი მუცელი (მუცელკეთილი, ბატონები). ხალხი ისე შეშინებულია, რომ ცოლი ქმარს, ქმარი ცოლს არ ეკარება. ავთმყოფს; ქართლები და კახელები დაგვიცინიან ხოლმე იმერლებს ამ ავთმყოფობაზე; მაგრამ რო მოვიდნენ და ნახონ — როგორ ჰხოცს ეს საძაგელი სენი ხალხს, მაშინ აღარ გაცივებენ. ქართლში ხმელი აჭერი არის, იმოდენი გავლენა არა აქვს ამ ავთმყოფობას და თითქმის არც ზემო-იმერეთშია ძრიელ საშიშო, რომ მოვლა იცოდნენ; და ქვემო-იმერეთში, ზღვის მახლობლათ, სადაც ნოტიოიანი აჭერი არის, იქ მუცელი ხოლერაზე უფრო ხოცავს ხალხს.

იმერეთში გარდა ადგილის მდებარეობისა სატიკივანს მიუყვანია ხალხი იმოდენზე, რომ ორი მოსახლე ერთად არ სახლობს, ერთი მეორეზე მოშორებით დასახლებულან (?). ამ ავთმყოფობას გარდა, ძრიელ ერიდებიან აქ; სენებს, ყვავილს, ხეფლას, წითელას; — ყველა ამებისათვის ხალხს „ბატონები“ დაურქმევია.

„შინთიხველასი“ (ქლოვქის) კიდევ უფრო ეშინიანთ; მაგრამ თინთიხველის აქიმები ძვირფასი არან აქ ჩვენს იმერეთში გლენიკაცობაში, შურაფლად ათავისუფლებენ! რწმუნება არის მათში, რომ სიკვდილზე ვინც დაესწრება თინთიხველიანს ნათესავი, მაშინვე შეეყრება და ამისთვის დადიან აქიმები, რომელნიც აქიმობენ ამ ნაირათ: ჩაუღებენ პირში ქათმის კვერცხს ავთმყოფს და ჩამოაცმევენ გულას და ისე მორჩობენ.

მე ვიცი რამდენიმე შემთხვევა მათ შორის, მაშამ და ძამამ მორჩივს ამნაირათ. ამას წინეთ ერთმა ქალმა თავისი ქალბატონი დიბარა, რომელიც ახლოს იდგა და შესტირა: „ქალბატონო, მიშველეთ, ქმარი დარჩობას მიპირებსო!“ ქალბატონმა დაარიგა ქმარი იმ ქალისა და შეაშინა, მთავრობას განუცხადებო; მაგრამ ყველა ესეები ამაო იყო; მეორედ დღეს ქმარმა ჩაუღო თურმე პირში თავის ავთმყოფ ცოლს კვერცხი, ჩამოაცო გულა თავზე, წაუჭირა ხელი ყელში და ისე მორჩო. მკედარს ურთულათ იმავე დღეს მარხვენ; რადღესაც მოკედება.

**ოსმალეთი.** მრთს აგვისტოს გაზეთში პონსტანტინოპოლიდამ (22 აგვისტოს) იწერებინან, რომ კუნძულს პანდიაზე ხალხის უკმაყოფილება თანდათან მატულობდა; მაგრამ ოსმალთს მმართველობა მაინც არაფრად აგდებს, ყურსაც არ აპარტყუნებს, რომ კუნძულის მცხოვრებლების მოთხოვნილებანი რამდენიმეთ მაინც დააკმაყოფილოსო. იქაური გარნიზონისათვის ჯარები შეუშატებიათ; გარდა ამისა ოთხი ბატალიონი, რომელიც ამდენხანამდინ ალექსანდრეტში და მერსინში მდგარა, პანდიაში გაუგზავნიათო. პორრესპონდენტის სიტყვებით, მართველობას გარდაუწყვეტია კუნძულზე 15 ათასამდე დაირადებული ჯარი იყოლიოს, რომ ყოველ შემთხვევისათვის იქნეს მზათო. — პონსტანტინოპოლის თსმალური გაზეთები ბერძნებს აბრალებენ ამ არეულობას.

— ინგლისური გაზეთის „ტაიმსის“ კორრესპონდენტი შემდეგი სიტყვებით სწერს პანდიის კუნძულზე ხალხის არეულობას:

„არეულობა კუნძულზე დაიწყო იმ დროს, როდესაც სერბილებმა და ჩერნოგორიელებმა გამოუცხადეს ომი ოსმალთს. პანდიელები თხოვდნენ ოსმალთს მართველობას, რომ იმათი წარმომადგენელთა კრება ყოფილიყო შემდგარი, როგორც ქრისტიანებისაგანაც, ისე ოსმალეზიზგანაც, ორთავეს მხრით წევრების რიცხვი კრებაში მცხოვრებლების რიცხვის შესაფერ უნდა ყოფილიყო. ამ გვარი განაწილება, ქრისტიანებისათვის, როგორც უფრო მეტს მცხოვრებლების რიცხვით, ვინემც ოსმალეზისა, სასარგებლოდ დარჩებოდა, რადგან იმათგან კრებაში უფრო მეტი წარმომადგენელი მოიყრიდნენ თავს.

„მარდა ამისა კანდიელები თხოვლობდნენ, რომ კუნძულის იმისთანა ადგილებში, სადაც ქრისტიანების რიცხვი მეტი იყო ვინემც ოსმალეზისა, მსაჯულები იმათ შორისვე დანიშნულიყო და ყველა ამის შესაფერათ — ქრისტიანებს თავის სამშობლოს ყოველგვარ მმართველობაში მისცემოდათ უფლება, რომ მონაწილეობა მიეღოთ.

„პორტამ-ყველა ამ მოთხოვნილებებზე, სასტიკი უარი უთხრა. ამასობაში ხალხის აღელვება და უკმაყოფილება კი დღე-დღეზედ მატულობდა; სხვათა შორის ქ. რეტიმაში, მოხდა კიდევ ოსმალეზისა და ბერძნებს შუა შეტაკება, და, სანამდინ მართველობა რამე ღონისძიებას იხმარდა ამ შეტაკების მოსასპობლათ, ორივე მხრიდამ რამდენიმე დაჭრილი და მკედარი იყო. — დაფთხობილ მმართველობას პონსტანტინოპოლიდამ რამდენიმე — სამხედრო ხომალდი გამოუგზავნია და სხვა გვარი საშუალებაც უხმარია ქალაქის დასამშვიდებლათ.

„მრთის სიტყვით, ამბობს კორრე-

სპონდენტი, პანდიის კუნძულზე ამ უკანადად ბევრი საომო მასალებია მოგროვილი და ერთი ნაპერწკალი იქნება საკმაო, რომ მთლათ ერთიანთ ყველაფერს ცეცხლი მოედოს.“

## ისტორია

მოწმობა \*)

„ამა მოწმობის წერილსა გაძლივე შენ ჩვენსა ფრად ერთგულსა და ნამსახურს კეთილ შობილს აზნაურს ბიორგი ბუგუშვილს, ესე ვითარად თუმცდა მრავალი ერთგულება და მსახურება გინახავს შენგან მამა ჩემზედ თუ ჩვენს ოჯახზედ და აგრეთვე ჩვენზედ, გარნა, რომელიც გამოჩენილი სამსახური გინახავს ამისათვის ამა მოწმობის წერილს გაძლივეთ:

1) შენ იყავ აზნაური ჰყონდილის ეკკლესიისა და იყავ დადგენილი გამგედ და სახლის უფროსად სახლსა შინა ჰყონდილისასა, დადგენილ უფროსს ყოვლად-სამღვდლო ჰყონდილის მიტროპოლიტის ბესარიონისაგან და ოდეს მთავარი ღადიანი ბრიგორი გარდადგეს შურითა და უსამართლოებითა, მაშინ ერთგულებისათვის ჩვენისა დაუტყვე სახელი ესე შენი და ყოველივე ყოფა-ცხოვრება და გარდაგყვევი ჩვენ და წარგვეყვე შოთად და ოდეს შოთს ვიყავით და კვლად განძლიერდნ მტერნი ჩვენნი და არლარა მოგვეცეს დგომა შოთს, მაშინ იგულვა მთავარმან ღადიანმან წასელა ახალციხედ და შენ წარგაგზავნა ფაშასთან და შენ წადი ერთგულად გულისათა და მიხველ ფაშასთან და შენითავე პირითა მიწოდეს მთავარი ღადიანი ახალციხეს ფაშამან და ესრეთ კეთილად იმსახურე.

2) და ოდეს წარვიდა მთავარი ღადიანი ბრიგორი იახელ და გარდაჰყვე ახალციხეზედ, ყოველის ერთგულის გულითა მსახურებდი და ყოფნასა ახალციხისასა წარგზავნე კვლად ცდისთვის საქმისა მისისა მის შმალღესობის მეფე მრაკლესთან და აგრეთვე უგანათლებულესს ბატონიშვილს ბიორგისთან და დაუზარებლად წასრულ იყავ ქართლად და დაბარებული ყოველივე უკმაყოფილებით განგეცხადებინა და უკუ მობრუნებინა შენისა შეხდომოდა სწეულება სნებით უგანათლებულესს მთავარს ღადიანს და მიახლებულ იყო სიკვდილად და ქამსა მას შენ დასკმაყოფით მსახურებოდი მოუცილებლად და განუშორებლად და არ დაგიზოგავს თავი შენი არცა სასიკვდინოსა სენსა, არცა სხვასა რამესა; ვინაიდგან არ განთავისუფლდა სენისა მისგან ესრეთ შრომით მსახურე და ოდეს უძლიური ესრეთ წამევიდა ახალციხიდან იმერეთს, მაშინ არ ეძლო ცხენსა ზედა ჯდომა და შენ

\*) ეს ძველი სიგელი მივიღეთ ჩვენს ბუგუშვილისაგან და როგორც მისტორიკთათვის საინტერესო მასალას ვებეჭავთ გაზეთში.

უმეტნევეს გზასა წყნელსა მდებარედა ზურგით და ანუტარდესს ცხენსა მხუჯდებოდა შენ ქვეითათ ხლებით, და ესრეთ მოვიდა იმერეთად; — ესე ვითარი უშურველი მსახურება აღასრულე.


3) და ოდეს იმყოფებოდა იმერეთს არა რაი იხილვა განსაძლიერებელი თავისა თვისისა და წარვიდა უმაღლეს მეფე მრაკლესთან და იქაც ახლდი ყოველითა მსახურებითა თავდაუზარებელი.

4) მერცა რაი მიმღებელი საწადლისა თვისისა მოვიდა კვლად მუთათისს იმერეთისს მეფესთან და იმყოფებოდა რამოდენსამე ქამსა იქა თვისით ცოლ-შვილით და შენ მოუცილებელი ახლდი და ემსახურებოდი სხვათა და სხვათა რიგთაგან ვითარსაჭიროება აქვს გარდავარდნილსა კაცსა და ესეც სხვათა მსახურებათა ზედა შესძინე.

5) ხოლო ოდეს ცდითა და მოწყალებითა ზეგარდამოთა მიიღო კვლად სამფლობელო მისი და დაიკავა ციხე ბორდის, რომელ არს ციხე იგი ძლიტე ლეჩხუმისა და სიმტიციე მდინისა, შენ ერთგულობისათვის დაგაყენა ციხესა მას შინა და განაწყენე და განაშენე ციხე იგი ყოველითა ნაკლულ-ევანებითა და კვლად ოდეს აღსდგენ ღადიანს ბრიგოლზედ და მიუღეს ყოველივე სამფლობელო მისი, ციხენი და ქვეყანანი, მას ქამსა შენ განამაგრე ციხე იგი სახელოვანად, თუმც შემოგზლულეს და ძლიერ შემოგაძლიერენ თუმცა შინა შენმა მხლებმა მეციხოვნებმან გილალატეს, თუმცა ყოველივე ყოფა-ცხოვრება შენი აღაბრეს, ცოლთა, შვილთა შენთა იპყრობდენ და ზღვედნენ, გარნა არა რასა მიხედე შენ თინიერ უფლისა და ხელმწიფისა შენისა ღადიანისა ერთგულობასა და ესრეთ განამაგრე ციხე იგი ყოველითა საქებრად და სიკვდილად თავდადებით ესრეთ უკმაყოფილად გვიჩვენე მსახურება.

6) ქამსა ამასა შინა უფალს ლენერალს თავად სიციანოვს წარმოველინა წერილი ახალციხის მხრით უგანათლებულესს მთავარ ღადიანთან და ვერ მოაწია კაცი იგი ჩვენდამო და ვერ ესცანიოთ მისი და ამისათვის წარგვლინა შენ სიკვდილათ განწირული ბათუმად, ჩაქვად, აჭარად თუ სხვა და სხვად, რათა მოგვეოკაცი იგი და მრავალთა ტანჯვათა თავ მიცემულმან ესე ქვეყანა დაელო; გარნა ვერ პოვე და შეილი შენი წარგველინა კვლად ამის საძებრად ბურთას, თურმე ბურთელს დაეჭირა კაცი იგი და იქიდან ესცანიოთ ყოველივე განსაწორებელი საქმისა ჩვენისა და ესე ვითარი საქმებელი და სახსოვარი გვემსახურე.

7) ოდეს მოიწია წერილა მისი ბრწყინვალეებისა უფლის ღვინგროლის თავადის სიციანოვის უგანათლებულესს მთავარ ღადიანთან და ეთხოვა კაცი ერთი სარწმუნო გვაში და ოდეს სცნა ღადიანმან სწადოდა რათა წარგველინა კაცი; გარნა საჭირო იქნა კაცის გაგზავნა ამისათვის რომელ გზა არ-



სით იპოვებოდა ყოველი გზა დახმარებით იყო მეფის სოლომონისაგან და არჯელ-სამეფელ დაიჭირეს კაცი ჩვენ მიერ გაგზავნილი და მოვიდეს და ამისათვის გაუჭირდა კაცის გაგზავნა; ენიდგან გხედვიდა ესე ვითარს შეურყეველსა ერთგულსა და კვირცხლ მსახურსა, ამისათვის გიბრძანა წასულია შენ და შენ სრულითა გონებითა თავს იდევ და წადი და წარიტანე შენ მღვდელი სეიფონ ასათიანი და ენიდგან გზა არსით იპოვებოდა, ესრე ვითარად თავ შეწირული წადი სვანეთით და სვანეთიდან მსეთით და მსეთიდან გარდავლეს საშინელი მთა იგი ძაგასისა სხვათა და სხვათა სასტიკთა ტანჯუთაგან და შეახველ მოზღოქად და მოზღოქიდან საქართველოს კნიაზ სიციანოვთან და რაიცი ჩვენ მიერ გქონდა დაბარებულნი სიტყვანი მზგავსიერად და გონიერად წარგედგინა, რომლისა სისრულე ვიხილეთ და წერილიც კნიაზისა გემოწმებოდენ კეთილსა ქვეყანა შენსა, და უკუმობრუნებისა შენისა წარმოეტანებინა შენთვის პოლკოვნიკი მაინოვი და წარმოგზავნეთ ახალციხით და ზღვით, რომლისაგანაც იყო მრავლად სხვა და სხვა საფიქრო გზანი; რა მოაწიეთ მთავარ ღვინთან ყოველივე აზრი მისნი განსრულდებულნი იხილა კავალერის შემოსითა და სხვათა და სხვათა საქმის აღსრულებითა, რომელიც ესე მსახურება გეწმენა შენგან.

8) მდეს კვალადვე უკუ ებრუნეთ პოლკოვნიკი მაინოვი ღვინთან და წარგავლინეთ ისევე გზითა ახალციხისათა და მისულოყავ ბანჯას კნიაზ ღვინთან და უწინარესვე რაიცა დაბარებულნი გქონდა, ისე განგეცხადებინა და წარმოეტანა შენთვის კაპიტანი მიქელაძე და მოდი ჩვენთან ლეჩხუმს კვალად აღმასრულებელი ბრძანებისა ჩვენისა და ესეცა ესე ვითარით მსახურება.

9) და მდეს განიხილა ყოველივე საქმენი წარმართებული საქმობითა შენითა, ამისათვის კვალად წარგატანა ამა მიქელაძე კაპიტანსა და სთხოვა დროშა და ხმალი და მისულოყავ და მოსწოდო კნიაზს მრეწვის გზასა ზედა და ესენი განცხადებულ რა იქმნენ შენგან, მოგვივიდა ესე ხელითა შენითა აღთქმა და აღსრულება ამისი რომელიცა შესრულებითა არს სახლსა ჩვენსა.

ამა ვითარათა ჩვენებულთა ერთგულებისათვის სწადოდა მთავარს ღვინთანსა მოწყალეობა შენდამი ნაცვლად გარნა უბედურებითა ჩვენითა ვერ აღმასრულებელი მიეცა სიკვდილსა და ამისათვის ჩვენ გაძლეეთ ამა მოწმობისა წერილსა სარწმუნოსა, უტყუველსა ხელმოწერილთა ჩვენითა. ჩუზსა აპრილის კდსა.

მპყრობელი მღიშ-ლენხუმთა, სვანთა ატუხათა მთავრინა საქართველოს მეფის ასული დედოფალი ნინა ბიორგვენა. შშინდასა მოწამისა მკატორინას პირველისა მისის იმპერატორების დიდებულების მოწყალისა ხელმოწერისა ჩემისა დენერალ-

მაიორი და კვალერი მთავარი ლეონ ღვინი.

### ნარევი

**ისტორიული არაკი**

საქართველოს მეფის ერთხელ ხუთი მთავარი ეხლენ: სამეგრელოს მთავარი ღვინი, მურვის — მურვილი, ატუხათის — მარვაშიძე, სვანეთის — მრისთავი და სამცხე-საათაბაგოს — მთაბავი.

მეფემ მეჯლიში გამართა და ამ მთავარი სტუმრების პატივისცემისათვის მრავალი წარჩინებულნი პირნი სამღვდელნი და საერონი მოიპატავა: მაგ. ქათალიკოსი, მღვდელმთავრები, ერისთავები, ჩინებულნი თავდაზნაურნი, პატივცემული ვაჭრები და ბევრი სანირო გლეხნი.

როდესაც ლხინში შესტოპეს, მიჰყვეს ხელი, სადღეგრძელოების მსას და — შუა ქამა იქნებოდა, რომ სუფრავე მეფის დიდი ბადა წამოაყენეს.

ამ ბადას შესახებ მეფის მეჯლისში ასეთი ჩვეულება იყო: როდესაც ერისთავები იმით სავსე ღვინოს მეფის სადღეგრძელოს დასტოვდნენ, გაავსებდნენ ხოლმე ფულით და ასე სავსე ფულით ბადას მეფეს დაულოცავდნენ. — ბადაში ჩაყრილი ფული მეფის მოსამსახურებისა იყო.

პირველად ეს ბადა აიღო ღვინი, დალია მეფის სადღეგრძელო, მოჰყარა ნახევრამდე ფულით და დაულოცა მეფეს. ახლა მთაბავის რიგი მოვიდა. ამანაც აიღო სავსე ბადა, ადღეგრძელო მეფე, შემდეგ გაავსო ფულით და დაულოცა მეფეს: ღვინი ანს ეს შეეშურა და ხელ-ახლად მოიხიზოვა ბადა. მთაბავს ბადას, ადგა ზეზე, მივიდა მთაბავთან და შეაძლია მეორეთ დაეღია. მთაბავმა უარი ჰყო: მე ვიხსენი და ვხედავ სხვისი რიგი გახლავსთ! — ღვინმა ძალა დაატანა; რამდენი არ იცილა თავიდან დარბაისელმა მესხმა სხვა და სხვა ტყილი საუბრით, მაგრამ მაინც არ მოეშვა ღვინიანი მეგრელი. ბოლოს, რომ არაფერი გაეწყო, აიღო სავსე ღვინით ბადა ღვინი და დამხხო თავზე მთაბავს: ისე გაუწყო ღვინით, რომ მშრალი ერთი ძაფიც არ შეტრენია ტანზე.

სადილი სანამ არ გათავდა, მთაბავმა, ხმა არ ამოიღო. ნასადილეს, გამოთხოვების დროს, მეფეს მოახსენა: „მეფე, დღეს მე თქვენგან ვარ ამ პატიოსანი და წარჩინებული საზოგადოებაში გალახული და გაუპატივებულნი; მაგრამ მე მომითმენია ეს თქვენი პატივისცემისათვის; თორემ, თქვენ რომ არ ბრძანებულყოფით, ღვინი ამას მე ვერ გამიბედავდა და არც ასე გაუწუმებოდი. მაშ, ენლა თქვენ გეკუთვნისთ, მეფეო, დამნაშავეს კანონი მოჰხდოდო.“ მთაბავმა მოახსენა რა ეს მეფეს, ადგა და წავიდა.

მრთი წელიწადი უყურა ამის შემდეგ მთაბავმა მეფეს, მაგრამ ნახა, რომ იმის გაუპატივებლობისათვის თავი არ გამოუდევს; გაუდგა მეფეს და მიემხრო მთაბავს. ღვინი არ გაუდგო ამის შემდეგ, მთაბავმა დაეცა ღვინის სამთავროს, დაარბია, აიკლო იგი; თავათ ღვინი დაიჭირა ცოლშვილით და მტყვეთ წაიყვანა.

მთაბავმა თუმცა ღვინი თავის ოჯახით კი განთავისუფლა, მაგრამ თვით გადასაქართველოს ტახტის მორჩილობისაგან; უარყო სამშობლო, უარყო რჯული თვისი-გათართდა და ამ რიგათ დაუკარგა საქართველოს თითქმის უპირველესი ნახევარი სამეფო სამცხე — საათაბაგო.

ასე თავისებურად მოგვიტრიალს ამ ისტორიულ მოვლენას ხალხის ზეპირ გადმოცემა...

პრეზიდენტზე სანტა-ანაზე, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც მოკვდა:

„მანსვენებული სანტა-ანა ერთობ პირდაპირი, აშკარა, პირში მთქმელი და სასტიკი რამ ხასიათის კაცი ყოფილა. მიიწი უნდა ყოფილიყო — უზრალა ჩინოვნიკი, თუნდ მინისტრი, თუ რამ სათქმელი ჰქონდა და გასაკიცხელი მათს მოქმედებაში, პირდაპირ და დაუფარავთ ეტყოდა — შენ, ასეთი ხარ, ან შენ დღეს ეს ჩავიდინაო და სხვა! და, როგორც ქვემო მოყვანილი მაგალითიდან შეიტყუბთ, ამისანა პირდაპირობას და სისასტიკეს, ხანდის ხან სანატრელი შედეგიც ჰქონია.

მრთხელ, როდესაც მინისტრების რჩევაში ყოფილა სანტა-ანა, შეუწინააღმდეგო, რომ მისი ოქროსა და ძვირფასი ქვებით შემკული კალამი, რომელიც სანახსოვრად ნაჩუქები ჰქონია თურმე, აღარ არის.


მთმც ძრიელ გაუჭირდა მოთმენა, მაგრამ — სანადისინ რჩევა გათავდებოდა, მაინც არაფერი გაამხილა. მათავდა რჩევა თურა, მიუბრუნდა მინისტრებს და უთხრა: — შეაღწე, ერთი რამ ხაოცარი შემთხვევა უნდა გითხრათ: სამწუხაროთ, ჩემს ძვირფას კალამს, რომელსაც ამ რამდენიმე მინუტის წინეთ აქ სტოლზე ვხედავდი, ეხლა ვეღარ ვხედავ, თუმცა დიდი ხანია ვეძებ და ვათვალიერებ; უთუთ ვინმე თქვენგანი წაიღებდა მას. მე ვუბრძანებ ვხლავ მაიტანონ ლამპები და — სანადისინ ბნელა, ქურდი კალამის ისევე თავის ადგილზე დადებს მოსწრებს. მაგრამ, თუ გაგიწყრათ ღმერთი და კალამი ისევე თავის ადგილზე ვერ ენახე, მაშინ ვუბრძანებ, რომ ყველას ჯიბები დავიშინჯო და ვისაც უნახავ, აქვე დავგვრებ.“

სანტა-ანამ გათავდა ეს სიტყვები თურა, მაშინვე უბრძანა მსახურებს, რომ ლამპები გაეტანათ და თან განკარგულბა მოახსენებინათ. — მაგრამ ტყვილი შეიქნა ეს მხადება. მანათეს ისევე ოთახი თურა, ნახეს, რომ კალამი ისევე თავის ადგილას იდგა.

\* \* \*

ნეე-იორკში დიდი მზადება ყოფილა ღვინს. ლაფიეტის ძეგლის კურთხევისათვის, რომელიც 6 სექტემბერს უნდა ეკურთხებოთ. ძეგლი უნდა დასდგა ნეე-იორკის საუკეთესო ადგილზე — იულიან-სკვერში. შეერთებული-შტატებში მცხოვრები შრანტუხები-საგან შემოწირული ფულით გაკეთებული შესადგარი ძეგლისა, რომელიც ამერიკელი გრანტიისაო მზათა კიდევ ერთს მზარეზე აწერია „ლაფიეტტი“ და დანარჩენები მშენებლის ხელოვნებითარის თლილიო. ეს გამოჩენილი ღვინი ლაფიეტტი, მოგვხსენებთ, რომ ღვინს. უაშინგეტონის ამნაკი იყო ინგლისისაგან ამერიკის განთავისუფლებისათვის ბრძოლის დროს.

- ### განსხვავებული
1. მირიანი, ზღაპრული მოთხრობა — — — 25.
  2. ვეფხვის-ტყალსანი გეტორის სურათით — — — 50.
  3. ბეჰანიანი ანუ ბეჰან და მანიქანისა — — — 10.
  4. დავითიანი თ. დავით ბურამიშვილისა — — — 50.
  5. სიბრძნე სირაზის წიგნი, თქმული საბასულხან მრბელიანისა — — — 50.
  6. თამარ ბატონიშვილი-თხზულება ბ. რჩეულოვისა — — — 30.
  7. თ. ნ. ბარათაშვილის ლ. სპივი — — — 20.
  8. თხზულება ნ. ანტონოვისა 1 — — — 1.
  9. თ. გ. ზ. პრისთის თხზულება ნაწილი პირველი — — — 1.
  10. თ. გ. მრბელიანის ლექსები — — — 50.
  11. სამართავლო. პირველი რამული შესავალი-ძაგასია. თხზულება დ. ბაქრაძისა — — — 50.
  12. ქაქია-აღამიანი თხზ. ი. ზავაძისა — — — 50.
  13. სამზარეულო წიგნი შედგენილი კ. ბ. ჯორჯაძისაგან 50
  14. სახელმძღვანელო წიგნი სხვა და სხვა ხელოვნობისა შედ. მ. ახატელოვისაგან — — — 40.
  15. სიტყვანი და მოკლევარი იმერეთის მასკაპოზის - მიერ — — — 1. 50.
  16. თარგმანი ქართველი ქალებისაგან — — — 40.
  17. ბავშვების მოკლად კომბისა, ნათარგმნი ვ. მაჩაბელისაგან — — — 50.
  18. მიმოსვლა ანუ მზავრობა იონა მიტროპოლიტისა, ივერიის პარის ღვთისმშობლის სურათით და ოთხი მეფის სურ. — 1. „
  19. ყუბილი-სიტყვაობა ანტონ პათალიკოზისა მისივე სურათით — — — 1. „
  20. მიმოსვლა წმინდათა და სხვათა აღამიანებთა — ტიმოთისი — — — 50.
  21. დიდი მოუხრავი ლექსად ი. სააკაძისაგან — — — 50.
  22. სახელმძღვანელო წიგნი მღვდელთათვის შედ. მღვდლის დ. ლამბაშიძისაგან — — — 60.
  23. ლექსიკონი ანუ განმარტება დავითისა, შედგენილი ახალშენოვისაგან — — — 30.
  24. დარბაზა შედ. ი. ბოგებაშვილისაგან — — — 5.
  25. საშავილო კონა მისივე — — — 30.
  26. წარა-კითხვის სასწავლო წიგნი, შედგენილი რ. ისარლიშვილისაგან — — — 5.
  27. შავიწილის სარკე ანუ წერა-კითხვის სასწავლო წიგნი, შედ. ან. ჯულელისაგან — — — 15.
  28. თვით მასწავლებელი — — — 10.
  29. პარამიანი კარი პირველი და მეორე — — — 60.
  30. პარამიანი კარი მესამე და მეოთხე — — — 80.




- 31. სტეფანოსი, რკინის გზის შემოღობვა, თარგმნილი ბ. თუშანიშვილისაგან — 5.
- 32. საახალწლო სურათი თხზულება აკ. წყნეთლისა — 10.
- 33. არსენას ლამისი თქმული მისტიკისაგან — 5.
- 34. წმინდა მარინის წამება და აბრამიანი — 5.
- 35. ქალ-ვაჟიანი — 5.
- 36. ვარდ-გულგულიანი, თქმული თ. პირველის მეფისაგან — 5.
- 37. სარკე თქმული თ. პირველის მეფისაგან — 40.
- 38. მძიმებაში თხზ. დ. მეღვინეთსუცვალისაგან — 10.
- 39. ლამისში სახალხო, შედგენილი პ. შმიკაშვილისაგან — 5.
- 40. ჩემული არაქაბი „სიბრძნე-სიკრთისაგან“ თქმული საბასულოსან ორბელიანისაგან — 5.
- 41. წამება წმინდა მეთევან დელოფლისა — 5.
- 42. ბაზარი, თქმული დ. ბივიშვილისაგან — 10.
- 43. გრიგული, ზღაპრული მოთხრობა, ნათარგმნი ფრანკოზულიდან დ. შიფიანისაგან — 40.
- 44. საქართველო დავარდნილია, თხზულება დ. შარტველოვისა — 15.
- 45. მართული კარბა — 30.
- 46. მგოსანი, დ. ბივიშვილისა — 20.
- 47. სურამის ციხე, ზ. ზონქაძისა — 20.
- 48. უმადილეს ყვავილი აუტკვირნეთ — 20.
- 49. არითმეტიკული გამოცანაები, ი. როსტომაშვილისა — 10.
- 50. ჰინაური — 10.
- 51. საყოველღეო ლოცვანი — 5.
- 52. ვითარანი — 5.
- 53. ქალ-ვაჟის ლექსი — 5.
- 54. „დროების ქალმდარი“ — 10.
- 55. „ზმა“ ანუ ოხუნჯობა — 5.
- 56. „კითხვა მიგება“ გამოცანის მინაგვარი — 3.

**ბანკირის კანტორა**  
დამწესებელი  
**1-ლი გილდიის ეაქარი**  
**ა. მ. აქიმოვი**  
მრეწვის მადანზე, ქუთუჯანოვის სახლებში  
**წარმოება**

- 1) ასესხებს ფულს ყოველგვარი მოძრავი ქონებისა, % ბანკის ბილეთებისა, აქციისა და მთილისის ბანკის გირაოს ფურცლებისა და სხ. გირაოთ;
- 2) ჰყიდულობს და ჰყიდის % ბანკისა და მოგებიან ბილეთებს, აგრეთვე მთილისის ქომერციულ ბანკის აქციებსა და მთ. საადგილ-მამულა ბანკის გირაოს ფურცლებსა და სხვ.
- 3) ჰყიდულობს უფლებას, რწმუნებითი ქალაქით, პენსიის მიღებისას, აგრეთვე ფოჩტის, არენდის, კუბონების და სხვ. ფულებისას;
- 4) ახურდავებს სახელმწიფო სერიებს, ოქროსა და ვერცხლის ფულს რუსეთისა და სამზღვარ გარეთისას.
- 5) საზღვეველად (სტრახში) იღებს ტირაჟის გაუქმებისაგან მოგებიან ბილეთებს ათ შაურად ქალაქელებისათვის და ქალაქს გარეშე მცხოვრებლებმა ამას გარდა ერთი ფოჩტის მარკა უნდა გამოგზავნონ;
- 6) ჰყიდის მოგებიან შინაგან სესხის ბილეთებს, დრო-გამოშვებით ფულების მიცემით, ასე რომ მყიდველს შეუქლიან ყოველ თვეში 15 მანეთი შემოიტანოს კანტორაში;
- 7) ჰყიდის, მინდობილობით, და გირაოებულსა და ვადას გადასულ ძვირფას ნივთებს იაფ ფასად.

დაიბეჭდა და ისყიდება  
**თავარ საქართველოს**  
**ბატონისუვილი**  
ისტორიული რომანი  
ბ. რჩეულოვისა.  
თხილისში: მელიქიშვილის და  
ახ. სტამბაში და მნთიჯიანცის  
წიგნის მალაზიაში.  
შასი ყველგან ექვსი შაური.



ათასი პირი, ქალი და კაცი თავისი მშვენიერის თმის ქონებით ვალდებულია მხოლოდ სამზღვარ გარეთ ეაქრობაში შემოტანილ ისრეთ წოდებულ მცენარეობითს მინო-გლიცერინის კომპონისა, რომელსაც თმა ამოჰყავს. მს პომადა — უცდია ბევრს გამოჩენილ ექიმობის მცოდნეს და რეკომენდაციის წიგნი აქვს

ქიმიის პროფესორისა ლანდგერისტთან დანიშნულისა, მენაში, უ. პლეჩინსკისა და ნებათა აქვს მოსკოვის საექიმო მთავრობისა; საკვირველსა და წარჩინებული წარმატება ჰქონდა და უკანასკნელ დროს მოსკოვის საექიმო მთავრობამ განიხილა და ჰპოვა კარგი თვისება ამისი. წესიერათ იმის ხმარებაზე მომატებულათ მოსვლელი თაეც კი შალე თმით იმოსება. საკვირველათ თაეის კეფას უმაჯრებს; სრულებით კანის ყოველ გვარ ქერქეშს აშორებს, თმას ამაჯრებს, მცირე ხანში ბუნებითი სიბრწყინვალეს აძლევს და მეტის-მეტ მშვენიერის სუნიით, რომელიც იმისი ძვირფასი კუთვნილებაა, რასაკვირველია, პირველის ტურფა ტუალეტის დამამშვენებელია. შევლა ეს თვისებანი ჩემის ნაწარმებისა მაძლევს სრულს სიმართლეს იმედი ექონიო, რომ რუსეთში ძალიან გასავალი ექნება უპატივეცმულესის პუბლიკის სასარგებლოდ.

**შასი ბანკისა 2 მანეთი**

შოველ ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარონ ეს პომადა


**პომადა „PASTA EUGENIE“**




ამ პომადის გამამგონს აქვს პატივი განუცხადოს საზოგადოებას, Pasta Eugenie ისყიდება თხილისში ლანკოს მუზიკალურ მალაზიაში, სასახლის ქუჩაზე, არწურუნის ქარვასლაში, ვლადიკავკაზში — სეგალთან და სტამბოლში ქურილ-

ჩენკოსთან, სადაც ისყიდება სხვა აქ მოყვანილი ნივთებიცა. ეს პომადა „Pasta“ იმითა შესანიშნავი, რომ ცოტახნის ხმარების შემდეგ, ლაქები, კორფლი, ქერქეში და სიციხისაგან სახეზე მოდებულ სიშაე სრულიად იაკარგება და მსწრაფ

ლადაც. პირის სახე იწმინდება და ახალგაზდა ადამიანის სიციხველე ეძლევა. შევლაზე უფრო ეს პომადა იმათთვის არის საჭირო, ვისაც სუფთა და თეთრი პისისაზე ჰსურთ, რომ ჰქონდეთ. მყიდველებისათვის გარანტია, არის მენის ქიმიის პროფესორი პლეჩინსკი და მოსკოვის საექიმო მთავრობის მოწმობა.



შასი მართი ბანკის 1 მან. და 60 კაპ. ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარებოდეს. შოველ პომადის ბანკას, როგორც თმისთვის აგრეთვე „Pasta“-ს აქვს თავის დლი, ამურის სურათით და გამამგონის ხელის



საც ხორკის კანის ავთ-მყოფობა არა აქვს, მაგრამ ჰსურს, რომ წმინდა ხელი ს

ბორკის კანი ჰქონდეს სახეზე, ხელეზე და ყელზე. BERTHAË RIES. კამადა

ეს პომადა ისეა შედგენილი, რომ იმის ხმარების შემდეგ, ხელის კანი განსაკვირველად რბილდება, თეთრდება და მხოლოდ ღრმა მოხუცებულებში ჰკარგავს ამ თვისებებს.

**მართი ბანკის შასი 1 მან. და 30 კაპ.**

თმის საღებავი—ათი მინუტის განმავლობაში ღებავს და ექვს კვირას სძლებს. შასი სამი მანეთი. ტოპის ბალზამი—საშუალება მზოლისათვის. შასი 60 კაპ. 54—31

| რკ. გზა.   | ლილა. | საღამ. | II კ. | III კ. | ცეცხლის გვერები                | შოვბა  | ბირჟა                    | მან. კაპ | გაზანდა              | მან. კაპ |
|------------|-------|--------|-------|--------|--------------------------------|--|--------------------------|----------|----------------------|----------|
| თილისი     | 936   | 454    |       |        | ა) შოთილამ მიღის:              | ა) თილისი დამ:                                       | პეტერბურგი, 23 აგვის.    |          | თილისი, 27 აგვის.    |          |
| მცხეთა     |       |        | 68    | 38     | ბ) მდგესილამ:                  | სამზღვარ გარეთ, შუთაისს, რუსეთს                      | მართი მანეთი ღირს:       |          | პური შორაგალის ფთ.   | 80       |
| ბორი       | 1221  | 841    | 240   | 123    | შოთისკენ—შაბათს დილისმსაათ.    | ყოველ დღე კვირას გარდა. შუგდ.                        | ლონდონში 3 1/2 პენსი.    | 84       | ქერი ფუთი.           | 60       |
| საშური     | 2     | 1110   | 392   | 218    | შოთისკენ—ორშაბ. ნასად. 3 საათ. | ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და                       | პარიჟში 3 3 1/2 სანტიმი. | 89       | ბამბა მრეწვისა, ფუთი | 550      |
| ბეჟათუბანი |       |        | 422   | 246    | სტამბოლს—ოთშ. შაბათს, შუადღეზე | შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.                          | მსკონტი(სარგებლისფასი)   | 6        | — ამერიკისა, ფუთი.   | 630      |
| შვირილა    |       |        | 581   | 323    | შოთილამ:                       | ბ) შოთაისი დამ:                                      | ბანკის ბილეთი 5%         | 9925     | ბაპენტილი ბამბა ფთ.  | 8        |
| შუთაისი    | 823   |        | 675   | 375    | სტამბოლი                       | თილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მზურ- | მოგებიანი(პირველისესხი)  | 198      | მატული თუშური ფთ.    | 750      |
| სამტრედია  |       |        | 773   | 429    | მტრამილი                       | გეთს—ორშ. და პარასკ. შუგდის                          | მოგებიანი (მეორე სესხი)  | 19650    | — თარაქამისა ფთ.     | 750      |
| ახ.-სენაკი |       |        | 857   | 476    | ტავანოვ.                       | — ოთშაბ.   | ბირაოს ფურცლები:         |          | აბრეშუმის ნუხური გრ. | 260      |
| შოთი       | 1144  |        | 975   | 542    | მდგესამილი                     | გ) ბორი დამ.   | თილ. სააზნ. ბანკისა,     |          | ქონი, ფუთი.          | 4        |
| შოთი       | 840   |        |       |        | ტელეგრაფი                      | შოველგან ყოველ დღე, კვირას                           | ხერსონის ბანკის (5 1/2)  | 88       | ქონის სათელი ფუთი.   | 560      |
| ახ.-სენაკი |       |        | 118   | 66     | მცხეთა                         | გარდა.   | მოსკოვის (5%)            | 9125     | სტეარინის სათელი, ფ. | 1030     |
| სამტრედია  |       |        | 261   | 14     | შუთაისი                        | დ) შოთი დამ:   | აქციები:                 |          | ხორცი ძროხისა, ლიტ.  | 45       |
| შუთაისი    | 1151  |        | 341   | 69     | ბორს, ღუშეთს, სიღნაბს          | შოველგან ყოველ დღე, კვირას                           | მდგესის საეჭრო ბანკის    | 158      | — ცხვრისა, ლიტრა     | 50       |
| შვირილა    |       |        | 398   | 221    | როსტოვს მდგესას მოსკოვს        | რას გარდა.   | შოთი-თილ. რკინ. გზის     | 13950    | სპირტი, ვედრო.       | 660      |
| ბეჟათუბანი |       |        | 533   | 296    | პეტერბურგს, ვარშავას.          | წიგნის გავზენა რუსეთში                               | შავიზღვის ცეცხ. გემების  | 530      | შაქარი, ბროც, ფუთი   | 680      |
| საშური     | 541   | 165    | 843   | 24     | მსპალეთში, შვიციტარიაში        | და სამზღვარ გარეთ;                                   | ქაჯავახის და მერკურისა.  | 205      | — ფხვნილი ფუთი.      | 570      |
| ბორი       | 723   | 367    | 364   | 9      | იტალიაში და საფრანგეთში.       | ლა წიგნის  | პეტერბ. საზღვევ. საზ.    | 263      | შეთი ქუნჯუთისა ფთ.   | 550      |
| მცხეთა     |       |        | 985   | 4      | ინგლისში.                      | დაბეჭდილის (სამი მისხალი).                           | მოსკოვის საზღვევ. საზ.   | 260      | მქობა 1/2 იმპერიალი. | 6125     |
| თილისი     | 1016  | 724    | 975   | 542    |                                |  |                          |          |                      |          |